

N² 89-15
22.02.2018

კვზ
სს „თიბისი ბანკის“
დირექტორატს
ასლი: სამეთვალყურეო საბჭოს

ბატონებო,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაასრულა სს „თიბისი ბანკის“ შეფასება რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) ფარგლებში, რაც პილარ 2-ის ჩარჩოს თანახმად ითვალისწინებს წმინდა GRAPE ბუფერის დაწესებას.

მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

- [Redacted]
- აღსანიშნავია ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტების დამოუკიდებელი წევრებით ფორმირების მიმართულებით. თუმცა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის მიერ აღმასრულებელი და საზედამხედველო ფუნქციების შეთავსება ქმნის ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობისა და უფლებამოსილების გადაჭარბებული კონცენტრაციის შესაძლებლობას. აღნიშნულს ხაზს უსვამს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ანაზღაურებაც, რაც დასაბუთებულია მათი საკვანძო როლით (crucial role), მათ შორის აღმასრულებელი ფუნქციების შეთავსებით. აღნიშნული საფრთხეს უქმნის საბჭოს მიერ მასზე დაკისრებული საზედამხედველო როლის ეფექტიან შესრულებას.
- ბანკისათვის პოტენციური ზარალის რისკებს ქმნის დამფუძნებელი აქციონერების მხრიდან ბანკის საკუთარი ბიზნეს ინტერესებისათვის შესაძლო გამოყენება. სხვადასხვა დროს ირღვეოდა „ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულებით“ განსაზღვრული მოთხოვნები ბანკის აქციონერებთან დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელებისას. ასევე, შეინიშნება ხარვეზები სხვა დაკავშირებული მხარეების დაკრედიტებისა და ზოგადად ინტერესთა კონფლიქტის სათანადოდ მართვის პროცესში. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით ჩართულობას სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების მხრიდან. ამასთან, აღსანიშნავია ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები ინტერესთა კონფლიქტის მართვის ჩარჩოს გაუმჯობესების მიმართულებით, რაც მიმდინარე ეტაპზე ეროვნული ბანკის მხრიდან დაკვირვების საგანს წარმოადგენს.
- [Redacted]

გამოვლენილი რისკების მიტიგაციის მიზნით, ბანკმა უნდა შეინარჩუნოს წმინდა GRAPE ბუფერი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მინიმუმ [redacted] ოდენობით.


ამასთან, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული წმინდა GRAPE ბუფერის მოთხოვნები კომერციულმა ბანკმა უნდა დაიცვას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისი პროპორციებით, მითითებული პერიოდების შესაბამისად:

წმინდა GRAPE ბუფერის მოთხოვნის გადანაწილება კაპიტალის ელემენტებზე	28/02/2018	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020	31/12/2021 და შემდგომ
ძირითადი პირველადი კაპიტალი ¹	0%	15%	30%	45%	56%
პირველადი კაპიტალი ²	0%	20%	40%	60%	75%
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	100%	100%	100%	100%	100%

პატივისცემით,

მურთაზ კიკორია

ვიცე-პრეზიდენტი



¹ იგულისხმება ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმუმ ცხრილში მოცემული პროპორციით დაკმაყოფილება

² იგულისხმება პირველადი კაპიტალის მინიმუმ ცხრილში მოცემული პროპორციით დაკმაყოფილება